ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №7342947

ნომერი: AR11071616

თარიღი : 25.12.2024

გაცემის თარიღი : 13.01.2025

გაცნობის თარიღი : 13.01.2025

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , სოფელი დიღომი, ვეფხისტყაოსნის ქუჩა N54;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ალექსანდრე ჯობავა პ/ნ 62006030542
- გალი სოფ. 1-გალი

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

გადაწყვეტილება

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2024 წლის 25 დეკემბერს №AR11071616 განცხადებით მომართა ალექსანდრე ჯობავამ და მოითხოვა სამსახურის 2021 წლის 17 ნოემბრის №5688370 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად,

შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2021 წლის 17 ნოემბრის №5688370 ბრძანებით №01.72.14.036.589 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე შეთანხმდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის (კორპუსი №1) კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა.
განმცხადებლის განმარტების თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2021 წლის 17 ნოემბრის №5688370 ბრძანებაში გეგმებზე არასწორად მოხდა ფართობების დაფიქსირება, რის გამოც ითხოვს ტექნიკური შეცდომის გასწორებას და წარმოდგენილი გეგმების ჩანაცვლებას.
დოკუმენტაციის (მათ შორის ვექტორული ფაილის) გადამოწმების შედეგად სამსახურმა დაადგინა, რომ ამჟამად წარმოდგენილ გეგმებზე საცხოვრებელი ფართობების კვადრატულობები მომატებულია შეთანხმებულ გეგმებზე დატანილ ბინების საცხოვრებელ ფართობებთან შედარებით, რაც არ არის მისაღები და არ წარმოადგენს ტექნიკურ შეცდომას.
აქვე სამსახური განმარტავს, რომ სამყოფისათვის ფართობი განისაზღვრება მის შემომსაზღვრელ კედლებს შორის არსებული იატაკის ძირითადი კონსტრუქციის ზედაპირის ფართობით, მათ შორის არსებული საყრდენი კედლებისა და კოლონების ფართობის გარეშე (ბინის ფართობში არ იანგარიშება ასევე საყრდენ კედლებში და ბინის შემომსაზღვრელ კედლებში არსებული ღიობები, ბინაში არსებული იატაკის სხვადასხვა დონეების დამაკავშირებელი შიდა კიბე და მისი ბაქანი). აღნიშნულის გათვალისწინებით, საცხოვრებელი ფართობები დათვლილი უნდა იყოს შიდა კონტურზე.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან, ბინების საცხოვრებელი ფართობები გაზრდილია შეთანხმებულთან მიმართებით, აღნიშნული არ წარმოადგენს ტექნიკურ შეცდომას და შესაბამისად, სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას გაასწოროს ტექნიკური შეცდომა სამსახურის 2021 წლის 17 ნოემბრის №5688370 ბრძანებაში.
წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქ. №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.